პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

შაბათი, 20 მარტი 1926 წ.

წელიწადი მეექვსე

ფასი 3 კ.

# წითელი არმია

№ 59 (1054)

1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი

რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა. ტელეფონი 2—24

განცხ. ფასი პირ. გვ. 80 კ. სტ. 4 გვ. 40 კ.

## კიდევ ერთა ლიგის შესახებ.

ჩვენი გაზეთის წარსულ ნომრებში, ჩვენ გაკვრით ვლაპარაკობდით იმ კრიზისის შესახებ, რომელსაც ამ უკანასკნელ ხანებში განიცდიდა ერთა ლიგა. თან აღვნიშნეთ ისიც, რომ ამ კრიზისის დაძლევა ისეთ პირობებში, რომელიც ამ უკანასკნელ ხანებში იყო ერთა ლიგაში—ყოვლად დაუშვებლად მიგვაჩნდა.

და მართლაც უკანასკნელი დეპეშების ცნობებიდან ირკვევა, რომ კრიზისმა უფრო მეტი გამწვავებული ხასიათი მიიღო და ერთა ლიგაში არ მომხდარ შეთანხმებამ გამოიწვია დროებით, მოლაპარაკების შეწყვეტა.

ეს ფაქტი თავისთავად მოსალოდნელი იყო.

ბურჟუაზიულ სახელმწიფოებს შორის შეთანხმება უსათუოდ ასეთი დამარცხებით უნდა დასრულებულიყო. მაგრამ ერთა ლიგის გმირებმა ამ დამარცხების ნამდვილი მიზეზის დაფარვის მიზნით—წამოაყენეს ფორმალური მიზეზი მოლაპარაკების შეწყვეტის.

ეს ფორმალური მიზეზი მათი აზრით მდგომარეობს იმაში, რომ ბრაზილია წინააღმდეგია ერთა ლიგაში დროებითი ადგილის მიცემაზე.

ეს გარემოება კი მეტად უარყოფითად სწყვეტს, ერთა ლიგაში გერმანიის მიღების საკითხს.

და მართლაც ჩვენ ვხედავთ, რომ ამ გარემოებამ ერთა ლიგის საბჭოს წევრები ვერ მიიყვანა სრულ შეთანხმებამდი და ერთა ლიგის სესიის სხდომები შეწყვეტილი იქმნა სექტემბრამდი.

მაგრამ ნამდვილი მიზეზი ამ მოლაპარაკების შეწყვეტის, უმთავრესად იმაში კი არ მდგომარეობს, რომ ბრაზილიამ ვერ მიიღო მუდმივი ადგილი ერთა ლიგაში, რამაც მეორე მხრივ გამოიწვია გერმანიის ერთა ლიგაში მიღების შეჩერება, არამედ ნამდვილი მიზეზი—უნდა ვეძებოთ იმ დიპლომატიური მოსაზრებებში, რომელსაც ინგლისი და საფრანგეთი აწარმოებს ამ სახელმწიფოების მიმართ.

მათი იმპერიალისტური ზრახვები იმდენად ერთი მეორის საწინააღმდეგო მიმართულებით ხასიათდებიან, რომ მათი შეთანხმება თუ გინდ ერთა ლიგის სესიის სექტემბერშიც განგრძნობა, ვერ მოიტანს დიდ ნაყოფს. შეიძლება რასაკვირველია შემდეგში მოხდეს მათი ინტერესების შეთანხმება, მაგრამ ეს შეთანხმება იქნება უფრო ხელოვნური, ვიდრე ბუნებრივი ხასიათის.

და მაინც ამ კვანძის გახსნა და იმპერიალისტური მისწრაფებების საბოლოოდ მოსპობა, შეუძლია მხოლოდ და მხოლოდ ევროპის პროლეტარიატის მიერ მოხდენილ რევოლიუციას, რომლის მოსვლა დიდხანს არ დაიგვიანებს.

# ახალი რადიო ამბები

## ერთა ლიგის სესიის ჩაშლა.

### ლოკარნოს ხუხულა დაინგრა.

ერთა ლიგის სესია ჩაიშალა. გერმანიის დელეგაცია დაბრუნდა ჟენევიდან.

გაზ. „როტე ფანე“ აღნიშნავს, რომ ინგლისისა და საფრანგეთის იმპერიალისტების ბრძოლამ უფლებებისთვის გამოიწვია ერთა ლიგაში რღვევა.

ინგლისის დიპლომატიური წრეები ბრაზილიის შეურიგებლობას ხსნიან იმით, რომ მას მხარს უჭერს იტალიაო.

გაზ. „ფორვერტსი“-ს აზრით ლოკარნოს შენობისაგან, რომელსაც დიპლომატების იმდენი შრომა და ენერგია შეეწირა, დარჩა მხოლოდ ნანგრევი. გაზეთის განცხადებით მუსოლინი სცდილობს დაარღვიოს ერთა ლიგა.

## სამრეწველო კრიზისი ჩეხო-სლოვაკიაში.

### მოითხოვენ საბჭოთა კავშირის ცნობას.

ჩეხო-სლოვაკიის ნახშირის მაღაროებიდან განზრახულია 6.000 მუშის დათხოვნა. კომპარტიის ხელმძღვანელობით ორლოვში გაიმართა მიტინგი, რომელსაც დაესწრო 12.000 მუშა. კრებამ მიიღო რეზოლიუცია მუშების დათხოვნის, ახალი გადასახადების შემოღების წინააღმდეგ და სხვა.

წამოყენებულ იქნა აგრეთვე მოთხოვნილება საბჭოთა კავშირის დაჩქარებით ცნობის შესახებ.

## ბელგია და საბჭოთა კავშირი.

### მსოფლიო პროლეტარიატი საბჭოთა ქვეყნის მოკავშირეა.

მემარცხენე სოციალისტმა ბრიუნფომ ბელგიის პალატაში განაცხადა: „საბჭოთა მთავრობა ყოველთვის მზად იყო ურთიერთ მოლაპარაკებისთვის იმ პირობით, თუ რომ დაცული იქნებოდა ოქტომბრის რევოლიუციის მონაპოვარი. ბელგიის მთავრობამ არ უნდა დაივიწყოს, რომ ყველა ქვეყნების პროლეტარები არ დაუშვებენ რუსეთის პროლეტარიატის უფლებების დარღვევას“.

## საბჭოთა კავშირში

## სახელმწიფო საგეგმო კომისიების პრეზიდიუმთა საკავშირო ყრილობა.

### ყრილობის დახურვა.

დაიხურა სახელმწიფო საგეგმო კომისიების პრეზიდიუმთა საკავშირო ყრილობა.

# გეგმა

## ქართული წითელი არმიის 5 წლის თავის გატარებისა ქ. ტფილისში.

20 მარტს საღამოს მუშათა ორგანიზაციები იწვევენ შეფობის ქვეშ მყოფ ქართულ ნაწილებს თავიანთ კლუბებსა და ლენკუთხეებში.

ტარდება მოხსენებები ქართული წითელი არმიის ხუთი წლის თავის შესახებ.

მომხსენებლებს ნიშნავენ ნაწილების პარტორგანიზაციები.

მოხსენების შემდეგ ხდება სამხედრო კუთხეების გახსნა მუშათა კლუბებში.

ამავე დროს მოხდება სამხედრო კუთხის გახსნა გლეხის ცენტრალურ სახლშიაც.

21 მარტს დილის 11 საათზე ტფილისის გარნიზონის ყველა ქართული ნაწილების გავლა-გასეირნება რუსთაველის გამზირზე.

15 საათზე ტერნაწილებში ტარდება ცვალებადელთა საერთო შეკრებები.

16—17 საათზე ქართულ ყველა ნაწილებში მთავრობის წევრების, რუსულ ნაწილების წარმომადგენელთა და მუშათა ორგანიზაციების თანდასწრებით ტარდება მიტინგები.

20 და 21 მარტს ყველა თეატრებსა და კინოებში განათლების სახალხო კომისარიატის მიერ ქართულ დივიზიის პოლიტგანყოფილებასა და საქართველოს პროფსაბჭოსთან შეთანხმებით ეთმობა საქართველოს ნაწილებს ადგილების საჭირო რაოდენობა.

საქართველოს კ. პ. (ბ) ტფილისის კომიტეტი.
მეორე ქართულ დივიზიის პოლიტგანყოფილება.

# განაწილება

მთავრობის, ქალაქის აღმასკომის წევრებისა და დივიზიის წარმომადგენლების ნაწილებში 21 მარტისთვის.

1) ამხ. მახარაძე, მარქაროვი და გედევანიშვილი—1 ლეგიონში—16 საათზე; მე-6 ლეგიონში—17 საათზე.

2) ამხ. ამხ. ორჯონიკიძე, ელიავა და ალიაშვილი—ცხენოსან ლეგიონში—16 საათზე; ცხენოსან ესკადრონში—17 საათზე.

3) ამხ. ამხ. ს. თოდრია, ვ. სტურუა, ლომიძე და მაჭავარიანი—1-ლ საარტილერიო ლეგიონში—16 საათზე.

4) ამხ. ამხ. ცხაკაია, აგამალი ოღლი, ადამაძე და ასათიანი—მეთაურთა სკოლაში—16 ს. სამხედრო პოლიტსკოლაში—17 საათზე.

5) ამხ. ამხ. ჯუღელი, სუხიშვილი, სვანიძე, ქადაგიშვილი და ფალავა—საარტილერიო ლეგიონში—16 საათზე.

6) ამხ. ამხ. გეგეჭკორი, კამარაული, ასრიბეკოვი, ბერაძე და ყუფარაძე—მესანგრე ასეულსა და საკავშირო ასეულში შეერთებულ მიტინგზე—16 საათზე.

## მოგონებები ქართულ წ. ლაშქრის წარსულიდან.

მართალია ქართული წით. ლაშქარის დაარსებიდან ძალიან დიდ დროს არ გაუვლია, მაგრამ მისი არსებობის დროს რაც გააკეთა, ისეც შესაფერ დაფასებას მოითხოვს მუშურ-გლეხურ ხელისუფლებიდან. მე პირველათ მინდა აღვნიშნო ის დეფექტები, რომელიც ახასიათებდა ჩვენი წ. ლაშქრის მშენებლობის საქმეს. ეს იყო სამხედრო აპარატების მოუწყობლობა, არა სწორი აღრიცხვა წ. ლაშქარში გამოსაწვევ ახალგაზრდობის და სხვა დეფექტები. ამ მიზეზების გამო ნაწილებში მოყვანილი ახალგაზრდობა, ნაწილი გარბოდა ნაწილიდან და თან სამხედრო ქონებაც მიქონდა. ხშირად იყო შემთხვევა, როდესაც ასეულის მეთაურს დილის ამოკითხვის დროს აკლდებოდა ხუთი, ათი კაცი. ამ დეზერტირობის საწინააღმდეგოთ მაზრებში და თემებში დაარსდა ეგრეთ წოდებული „კომდეზი“ ე. ი. დეზერტირობასთან მებრძოლი კომიტეტი, რომლების დახმარებითაც თითქმის ყოველ კვირაში ნაწილებში მოყავდათ გაქცეული წ. არმიელები. მაგრამ მეორე და მესამე დღეს ეს მოყვანილი „დეზერტირები“ მაინც გარბოდენ. ასეთ დეზერტირობის დროს დივიზიას არ ყავდა სამხედრო ტრიბუნალი, რომელსაც უნდა გაესამართლებია დეზერტირობისათვის, და ეს გარემოებაც ხელს უწყობდა დეზერტირობის გავრცელებას.

აქვე აღსანიშნავია ის მდგომარეობა, რომ დიდი ნაწილი წ. მოლაშქრეებისა მაინც პირნათლათ ასრულებდა თავის სამსახურს, რომლებმაც თავიანთი ერთგულება დაამტკიცეს ხევსურეთში და გურიაში (22—23 წლებში) მენშევიკების მიერ მოწყობილ ავანტიურის ჩაქრობის დროს.

მკითხველთ რომ შეცდომაში არ შევიყვანოთ საჭიროა აღვნიშნოთ, თუ ვინ გარბოდა ნაწილიდან. ნაწილიდან იპარებოდენ თითქმის ერთი და იგივე პირები. მე პირადათ ვარ იმის მოწამე, რომ ჩემი ათი თვის მუშაობის განმავლობაში ნაწილში, ერთი და იგივე პირი სამჯერ და ოთხჯერ გაქცეულა ნაწილიდან და ისევ უკან მოიყვანეს, რომლებსაც პატიოსანი წ. მოლაშქრეები ზიზღის თვალით უყურებდენ და აძაგებდენ მათ საქციელს. ამასთან ერთად უნდა აღვნიშნოთ, თუ როგორ იკვებებოდა წ. მოლაშქრე. ყველამ ვიცით, რომ რუსეთმა დიდი შიმშილობა გამოიარა 21—22 წლებში, რომელმაც გავლენა მოახდინა ნაწილობრივ 23 წელზედაც და ხშირათ წ. არმიელებს აძლევდენ თევზის „ბორშს“, პურს კი—ხან $1^1/_2$ გირვანქას, ხან ორ გირვანქას და ისიც ხშირათ უვარგისი იყო. რაც შეეხება ტანზედ ჩაცმას, ამასაც მოკლებული იყო წ. მოლაშქრე, რადგან ხშირი დეზერტირობის მიზეზით ბევრი სამხედრო ტანისამოსები იფლანგებოდა. მაგრამ მიუხედავათ ასეთი მდგომარეობისა ჩვენი ჯარის გამტკიცების საქმე ყოველ დღიურათ მტკიცდებოდა.

აქ მოკლეთ აღვნიშნავ პარტმობილიზაციით გამოწვეულ ამხანაგების მდგომარეობას. 1922 წელში ასეთი მობილიზაციით გამოწვეულთა რიცხვი აღემატებოდა ოთხას კაცს პირველ ლეგიონში, რომლის უმრავლესობა სოფლებიდან იყვენ მოსული და უნდა სიმართლე ვთქვათ, რომ ზოგმა მათგანმა თავის ნებით მიატოვა ნაწილი და მიაშურა თავის სახლს. მაგრამ ასეთმა პირებმა მიიღეს სასჯელი პარტიული ხაზით. რაც შეეხება პოლიტიკურ მუშაობის დაყენებას უნდა აღვნიშნოთ, რომ ის ამხანაგები, რომლებიც ნაწილში ხელმძღვანელობდენ მუშაობას, მათი მუშაობა დადებითად უნდა ჩაითვალოს. რადგან ყოველივე ნაკლი რაც კი არსებობდა ნაწილის ცხოვრებაში, ამას მხოლოთ პოლიტ-მომუშავეები ასწორებდენ. დღევანდელი მდგომარეობა, რომ შეადარო 3—4 წ. წინ არსებულ მდგომარეობას, პირდაპირ თავს არ დაუჯერებ, ნუ თუ ასე მოკლე დროის განმავლობაში შეიძლებოდა ამრიგათ საქმის დაყენება, როგორც დღეს გვაქვს? მე მგონია ჩვენს ნაწილებში ბლომათ მოიპოვებიან ისეთი ამხანაგები, რომლებიც მსახურობენ დღიდან წ. ლაშქრის დაარსებისა და კარგი იქნებოდა, რომ ამ ამხანაგებმა იკისრონ ლენინის კუთხეში საუბრების ჩატარება მოგონებების სახით, ჩვენი წ. ლაშქრის დღიდან დაარსებისა და მისი მონაწილეობა სხვა და სხვა დავალებულ საქმეების შესრულებაში, რომელიც მან პირნათლათ შეასრულა.

ხ. ლომიძე.

# ბრძანება

კავკასიის წითელდროშოვანი არმიის ჯარებისადმი.

ქ. ტფილისი №64 1926 წელი 17 მარტი.

ამ ხუთიოდე წლის წინად საქართველოში ჩამოგდებული იქნა მშრომელთა კლასობრივ მტრების ხელისუფლება, რომელსაც მეთაურობდა სოციალ-დემოკრატების—მენშევიკების პარტია. მენშევიკების ძალა-უფლების დამხობა ნიშნავდა აგრეთვე საქართველოს მშრომელთა ნამდვილ დამოუკიდებლობის მოპოებას მსოფლიო ომში გამარჯვებულ ქვეყნების სარდლობისაგან (ინგლისის, საფრანგეთის, იტალიის, ამერიკის), რომელიც ცდილობდა ხელში ჩაეგდო ჩვენი ბუნებრივი სიმდიდრეები—ნავთი, შავი ქვა, სპილენძი და წაერთმია მთელს ქვეყნიერებაზე პირველი მუშურ-გლეხური რესპუბლიკისათვის (რსფსრ) უმთავრესი სათბობი მასალა, რომელიც აუცილებელ საჭიროებას შეადგენდა საბჭოთა მრეწველობისა და ტრანსპორტისათვის.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცება მოითხოვდა აუცილებელ ორგანიულ კავშირს აზერბეიჯანის, სომხეთის, უკრაინისა და რ.ს.ფ.ს.რ-ს გამარჯვებულ მუშებსა და გლეხებთან.

თავისი ძალა-უფლებისა და დამოუკიდებლობის დასაცავად შინაურ მენშევიკურ კონტრ-რევოლიუციისა და იმპერიალისტურ ქვეყნების ზრახვებისაგან—საქართველოს გამარჯვებული მუშები და გლეხები დაუყონებლივ შეუდგენ რევოლიუციონურ შეიარაღებულ ძალების ორგანიზაციას. 1921 წლის 21 მარტს გაცემული იქნა ბრძანება საქართველოს პირველი წითელი ნაწილების შედგენის შესახებ.

ხუთი წელი გავიდა მას შემდეგ. საქართველოს მუშებსა და გლეხებს ჰყავს როგორც ძირეული, ისე ტერიტორიალური ნაწილები, რომელთა რიგებშიაც გადის საბრძოლო მომზადებას საქართველოს მთელი მუშურ-გლეხური ახალგაზრდობა.

საქართველოში საბჭოების ძალა-უფლების დაცვის საქმე უზრუნველყოფილია. ამის დამამტკიცებელია ქართული წითელი ნაწილების მუშაობა 1924 წლის აგვისტოს დღეებში, როცა საქართველოს მშრომელთა კლასობრივი მტრები, საქართველოს მენშევიკური პარტიის უშუალო ხელმძღვანელობით, უკანასკნელად შეეცადენ დაებრუნებიათ წართმეული ძალა-უფლება.

საქართველოს მუშურ-გლეხური ჯარები თავისი ორგანიზაციის პირველ დღეებიდანვე შევიდენ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირის ინტერნაციონალურ წითელ არმიის რიგებში, რითაც დაუმტკიცეს მთელ ქვეყანას თავიანთი ურყევი გადაწყვეტილება დაიცვან თავისი სოციალისტური სამშობლოს დამოუკიდებლობა გარეშე მტრებისაგან.

საქართველოს წითელი ჯარები საქართველოს მუშებსა და გლეხებთან ერთად დარწმუნებული არიან, რომ მხოლოდ მჭიდრო, განუყრელი ძმური კავშირი რუსეთის, უკრაინის, აზერბეიჯანის, სომხეთისა და სხვა რესპუბლიკების მუშებსა და გლეხებთან და მათ შეიარაღებულ ძალებთან არის მშრომელთა ყველა მტრებზე გამარჯვების თავდები. ისინი დარწმუნებული არიან, რომ ასეთი გაერთიანება თავდებია ეკონომიურ, კულტურულ და პოლიტიკურ გაძლიერების და, მაშასადამე თავდები სოციალიზმის გამარჯვებისა.

თავისი განვითარების ხუთი წლის განმავლობაში ქართველი ნაწილები თავიანთი მუშაობითა და მომზადებით გაუთანაბრდენ მთლიანი წითელი არმიის ყველა დანარჩენ ნაწილებს.

კავკასიის წითელ დროშოვანი არმიის რევოლიუციონური სამხედრო საბჭო დარწმუნებულია, რომ ქართული დივიზიების წითელ-არმიელთა, მეთაურთა და პოლიტიკური შემადგენლობა, როგორც გასულ ხუთი წლის განმავლობაში, ისე მომავალშიაც შეუჩერებლად გააგრძელებს მუშაობას თავისი სამხედრო ცოდნის გაუმჯობესებისა და მუშურ-გლეხური სამშობლოს ძლიერების განმტკიცების საქმეში.

ულოცავს რა კავკასიის წითელდროშოვანი არმიის მთელ შემადგენლობას ქართული დივიზების ხუთი წლის თავს, რევოლიუციონური სამხედრო საბჭო აღნიშნავს, რომ ჩვენი არმიის სიმტკიცისა და უძლეველობის თავდები არის მთელი მისი ნაწილების ძმური კავშირი და მისი რიგების მთლიანობა. მომავალში ეს კავშირი და მთლიანობა გაღრმავდება და ჩვენი მრავალ ეროვნებათა კავშირი. ყველა ეროვნებათა შეიარაღებულ მშრომელთა მფარველობის ქვეშ, გამარჯვებული გამოვა ბრძოლაში ბურჟუაზიული მსოფლიოს წინააღმდეგ.

გაუმარჯოს საქართველოს შეიარაღებულ მუშებსა და გლეხებს!

გაუმარჯოს ჩვენს მთლიან წითელ არმიას!

ჯარების სარდალი

ლევანდოვსკი

რევსამხსაბჭოს წევრები: ორჯონიკიძე, ზალუცკი, ლუკაშინი, ელიავა, კარაევი, რატნეკი.

# საქართველოს ცაკის ცირკულიარული წერილი.

ა.-წ. 21 მარტს, სრულდება საქართველოს წითელი არმიის არსებობის 5 წლის თავი. საბჭოთა სახელმწიფოს დამყარებასთან ერთად ამავე წელში მოხდა მუშურ-გლეხური შეიარაღებული ძალის—საქართველოს წითელი არმიის ჩამოყალიბებაც. პროლეტარული რევოლიუციის მონაპოვართა შენარჩუნების და საბჭოთა რესპუბლიკის გამაგრების ერთ უმთავრეს პირობას წარმოადგენს მუშების და გლეხების სამხედრო ძალა—წითელი არმია. ცხადია, წითელი არმია არის ძირითადი პირობა ჩვენი რესპუბლიკის მშვიდობიან სამეურნეო და კულტურულ აღორძინების. საქართველოს წითელი არმიის არსებობა საუკეთესო დამამტკიცებელია საბჭოთა ხელისუფლების სწორი ეროვნული პოლიტიკის და ცხადჰყოფს იმ გარემოებას, რომ საბჭოთა სისტემა უზრუნველყოფს ეროვნულ თავისუფლებას და მცირე ეროვნებათა შორის სცდილობს მშრომელთა შეიარაღებულ ძალის ჩამოყალიბებას. საქართველოს გასაბჭოების 5 წლის თავზე ჩვენ გვყავს კარგად გაწვრთნილი, ბრძოლისათვის მომზადებული წითელი არმია, რომელმაც შინაურ კონტრ-რევოლიუციასთან ბრძოლაში ღირსეულად შეასრულა თავისი მოვალეობა და ამით მოიხვეჭა მუშების და გლეხების უსაზღვრო ნდობა და სიყვარული. ქართული წითელი არმია ნაწილია მთლიანი საკავშირო წითელი არმიის, ის სწავლობს მის მოძმე ნაწილების გამოცდილებებს, იღინთება სამოქალაქო ომის დროს შექმნილ ბრძოლის ტრადიციებით, და მომავალში, ისე როგორც წარსულში, ქართული წითელი არმია, როგორც ნაწილი მთლიანი წითელი არმიის, მხნეთ შეასრულებს თავის მისიას.

5 წლის თავის აღნიშვნა უნდა ჩატარდეს წითელი არმიის ბრძოლის უნარიანობის ამაღლების და მისი პოლიტიკური მნიშვნელობის ყოველმხრივი ცხადყოფის მიზნით. საქართველოს მშრომელ ხალხს ფართედ უნდა განემარტოს ჩვენი წითელი არმიის მიღწევანი, მისი დამსახურება ქვეყნის წინაშე, მოვალეობა მომავალში და მშრომელთა ყოველმხრივი დახმარება მისი გაძლიერება-განვითარების საქმეში. მეტათ უნდა განმტკიცდეს საქართველოს მშრომელთა კავშირი წითელ არმიასთან, ყოველმხრივი დახმარება მას, მასთან ერთად ქვეყნის სამეურნეო და სამხედრო გაძლიერება—აი, მიზანი 5 წლის დღესასწაულის.

საქართველოს წითელი არმიის ერთ შესანიშნავ მიღწევათ უნდა ჩაითვალოს იმ ეროვნულ უმცირესობათა მიზიდვა წითელი არმიის აღმშენებლობაში, რომელიც ძველ დროს სამხედრო ბეგარას არ ეწეოდენ. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში ეროვნულ უმცირესობის მშრომელმა ხალხმა სავალდებულოთ სცნო წითელი არმიის სახელოვან რიგებში ჩადგომა და საპატიო მოვალეობის ასრულება. აფხაზეთის მშრომელი ხალხის დაჟინებითი სურვილით დღეს იქ სდგას ტერიტორიალური ნაწილი, რომელიც ივსება განსაკუთრებით აფხაზეთისაგან თავის უფროსთა ხელმძღვანელობით.

ასეთივე სამხრეთ-ოსეთშიც. აჭარის მშრომელი მასა ამ ჟამად უღრეს სურვილს გამოსთქვამს საქართველოს წითელი არმიის აღმშენებლობაში ჩაბმისას.

ეს გარემოება ნათელჰყოფს, რომ საქართველოს წითელი არმია საბჭოთა ხელისუფლების ხელმძღვანელობით ატარებს ჭეშმარიტ სოციალისტურ პრინციპებს, სწორ ეროვნულ პოლიტიკას, მიმართულს [illegible] ერების კულტურულ აღ[illegible]ნებისაკენ.

საქართველოს წითელი არმიის 5 წლის თავის დღესასწაული საბჭოთა ორგანოებმა განსაკუთრებულ ყურადღებით უნდა ჩაატარონ და დახმარება აღმოუჩინონ სამხედრო ნაწილებს მათზე დავალებულ ამოცანების შესრულებაში.

დღესასწაულის მიზანშეწონილად ჩატარებისათვის ვევალებით:

1) ჩაატაროთ კამპანია ქალაქებში და სოფლებში 18-დან 21 მარტამდის (წარმოებებში, დაწესებულებებში და თემებში) მოხსენებების წაკითხვით 5 წლის თავის მნიშვნელობაზე.

2) ადგილობრივ პრესაში სწარმოებდეს ფართე მასიური კამპანია სისტემატიურად. 21 მარტის ნომერი გაზეთებისა დაეთმოს საქართველოს წითელ არმიას.

3) კამპანიის ჩატარების დროს განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს მოსახლეობის გასამხედროების და ტერიტორიალური მშენებლობის საკითხებს.

4) გლეხთა სახლებში, მუშათა კლუბებში, კოხ-სამკითხველოებში გახსნილ იქნეს სამხედრო კუთხეები.

5) მოწვეულ იქნეს საბჭოების საზეიმო კრებები ადგილობრივ საბჭოებისა პროფორგანიზაციებთან და სამხედრო ნაწილებთან ერთად.

6) 21 მარტს, წითელი არმიის კულტშეფების მიერ გამართულ იქნეს გასართობები თეატრებში, კინოებში და სხვ.

საქართველოს ს ბჭ. სოც. რესპ. ცაკ-ის თავმჯდომარე

ფ. მახარაძე.

ს. ს. ცაკ-ის მდივანი

ს. თოდრია.

17 მარტი. 1926 წ.

თბილისი—სასახლე.

**ამხ. ამხ. წითელ არმიელებო, მეთაურებო და პოლიტ-მუშაკებო! 21 მარტს ქართული წითელი არმია დღესასწაულობს თავის არსებობის 5 წლის თავს. მოიწვიეთ ყველა მოგონებები, გატარებული მუშაობის მიღწევები ამ ხნის განმავლობაში და სხ.**

# სოციალიზმის აღმშენებლობა.

რა სთქვა მე-14 პარტყრილობამ.

ცენტრალურ კომიტეტისა და ამხ. ზინოვიევის თანამოხსენების გარშემო კამათმა ფართე ხასიათი მიიღო და ოპოზიციის ცოტად თუ ბევრად არც ერთი მნიშვნელოვანი დებულება არ დარჩენილა კრიტიკის ცხრილში გაუტარებელი.

ამ კამათის შემდეგ ყრილობამ მიიღო სათანადო რეზოლიუცია.

პირველ ყოვლისა ყრილობამ, გამოვიდა რა ლენინიზმის საფუძვლებიდან, მიანდო პარტიის ცენტრალურ კომიტეტს ეკონომიურ აღმშენებლობის დარგში ეხელმძღვანელა იმით, რომ ჩვენი პროლეტარიატის დიქტატურის ქვეყანას აქვს „ყველაფერი, რაც კი აუცილებელია სოციალისტური საზოგადოების სრული აღმშენებლობისთვის“ (ლენინი).

ამით ყრილობამ გადაჭრით და საბოლოოდ დაჰგმო ყოველგვარი ბუნდოვანობა და ყალბი გაგება ჩვენი ეკონომიური აღმშენებლობის საფუძვლების განსაზღვრაში.

შემდეგ ყრილობამ სცნო, რომ ბრძოლა სოციალისტურ აღმშენებლობისთვის საბჭოთა კავშირში—ჩვენი პარტიის ძირითადი ამოცანაა, რომ საანგარიშო წელმა სავსებით დაამტკიცა ამ დებულებათა სისწორე და, რომ სხვა ქვეყნებში პროლეტარიატის მიერ ძალა-უფლების ხელში ჩაგდებამდი ჩვენმა მუშათა კლასმა გლეხობის ძირითად მასასთან კავშირში უკვე მიაღწია პირველ სერიოზულ წარმატებებს სოციალისტურ აღმშენებლობაში.

მაგრამ, დაადასტურა რა ჩვენი მიღწევები, რომლებიც მთლიანად უნდა განვსაზღვროთ, როგორც საბჭოთა კავშირის წინსვლა სოციალიზმისკენ, პარტიის ყრილობამ გადაჭრით და პირდაპირ აღნიშნა აგრეთვე სიძნელენი ჩვენს გზაზე.

ამ სიძნელეთა და საშიშროებათა შორის ყრილობამ აღნიშნა ბობოლას მეურნეობის ზრდა სოფლად, უკანასკნელის ფენებად დაყოფასთან ერთად. ყრილობამ აღნიშნა აგრეთვე ქალაქად ახალ ბურჟუაზიის ზრდა, რომელიც ილტვის შეუკავშირდეს სავაჭრო—კაპიტალისტურ და ბობოლას მეურნეობას საშუალო მეურნეობათა მიბირებისთვის ბრძოლაში.

რა ხაზი დაისახა ყრილობამ, რომლითაც უნდა სწარმოებდეს ბრძოლა ამ საშიშროების წინააღმდეგ?

ყრილობამ მისცა ცენტრალურ კომიტეტს შემდეგი დირექტივები ეკონომიურ პოლიტიკის დარგში: „სოციალისტური სამეურნეო ფორმების გამარჯვების უზრუნველყოფა კერძო კაპიტალზე, საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის (სახელმწიფოს მიერ ვაჭრობის ხელში აღების) გაძლიერება, სოციალისტურ მრეწველობის ზრდა და მისივე და კოოპერაციის საშუალებით გლეხთა მეურნეობის ფართედ ჩაბმა სოციალისტურ აღმშენებლობაში“.

შემდეგ ყრილობამ დასახა ღონისძიებათა მთელი სისტემა, რომლის ხელმძღვანელობითაც ცენტრალურ კომიტეტს შეუძლია უზრუნველყოს ჩვენი მეურნეობის იმ ელემენტების ზრდა, რომელიც უფრო ხელსაყრელია სოციალიზმის აღმშენებლობისთვის.

ყრილობამ დაჰგმო ჩვენი პარტიის რიგებში არსებული დაუჯერებლობა სოციალიზმის აღმშენებლობის საქმეში ჩვენში, დაჰგმო ის, როგორც იდეური მიმდინარეობა, რომელიც ხელს უშლიდა მასების დამოკიდებულებას სოციალიზმის აღმშენებლობისადმი, დაჰგმო ის, როგორც ლენინიზმის დამახინჯება.

ყრილობამ გადაჭრით დაჰგმო როგორც გადახრა, რომელიც არ ხედავდა საშიშროებას ბობოლების ზრდასთან დაკავშირებით, ისე ის გადახრაც, რომელიც არ ჰხედავდა საშუალო შეძლების გლეხში იმ ცენტრალურ ფიგურას, რომლის მიმხრობითაც უზრუნველყოფილ იქნება სოფლის წინსვლა სოციალისტურ აღმშენებლობის გზაზე.

განსაკუთრებული საშიშროება ყრილობამ დაინახა მეორე გადახრაში: „ეს მეორე გადახრა—განაცხადა ყრილობამ—უქადის სოფლად ჩვენი პარტიის ხაზს გამრუდებით; ეს ხაზი ჩაშლის კავშირს პროლეტარიატსა და გლეხობას შორის და, მაშასადამე ჩაშლის მთელს ჩვენ სააღმშენებლო მუშაობასაც.“

ასე განაცხადა ყრილობამ.

ასე დამთავრდა კამათი ოპოზიციასთან.

პარტიის, როგორც თვითეული მისი წევრის წინაშე, სდგას ამოცანა—შეთანხმებულად, უფრო მეტის ენერგიით, უფრო მეტის რწმენითა და ახალი ძალებით გააგრძელოს მუშაობა სოციალიზმის აღმშენებლობის საქმეში და ახსოვდეს ლენინის ანდერძი, რომ ახალი ეკონომიური პოლიტიკის რუსეთს ჩვენ გავხდით სოციალისტურ რუსეთად, მხოლოდ მაშინ, როცა მუშათა კლასი განამტკიცებს კავშირს გლეხობასთან, გააძლიერებს კოოპერაციას სოფლად და ჩვენს სოციალისტურ სახელმწიფო მრეწველობას ქალაქად, განამტკიცებს საერთაშორისო სოლიდარობას, რომლის ნიშან ქვეშაც დაიბადა, იბრძოდა თავის ბატონობისთვის და განმტკიცდა პროლეტარიატის დიქტატურა.

ვ. ლ—ვი.

# სამხედრო საქმე

## ასეულის უფროსის სამეურნეო ფუნქციებიდან გათავისუფლება.

ამ უკანასკნელ დროს რომელიც პრისაში, აგრეთვე ჩვენშიც ძალიან ხშირათ არის წამოჭრილი საკითხი ასეულის უფროსის სამეურნეო ფუნქციებიდან გათავისუფლების შესახებ. ესევე საკითხ იწამოყენებულია არმიის სამეურნეო მუშაკების მომავალ ყრილობაზეც 25 ამა მარტისთვის.

ამ ფრიად საყურადღებო საკითხის გარჩევის დროს, ორნაირად უდგებიან მას; ერთნი ამბობენ ასეულის, ესკადრონის და ბატარეის უფროსი მშვიდობიან დროს უნდა გათავისუფლებულ იქმნას ყველა სამეურნეო ფუნქციებიდან და ყოველგვარ მომარაგების ანგარიშის წარმოებიდანო და მას უნდა მიენდოს მხოლოდ წითელ არმიელის აღზრდა, როგორც მეომრისაო; მეორენი ამბობენ —ასეულის (ესკადრონის, ბატარეის) უფროსი მხოლოდ ნაწილობრივ უნდა იქმნას გათავისუფლებული სამეურნეო ფუნქციებიდანო, რისთვისაც ჯარის კმაყოფა მშვიდობიან დროს უნდა იყოს მოწყობილი ისევე, როგორც ომიანობის დროსო.

კმაყოფის მიხედვით ასეულის მომარაგება სამნაირია: ფულით, სურსათით და ნივთებით. არსებული კანონის ძალით, ასეულის უფროსს მაინც და მაინც არა აქვს დაკისრებული დიდი სამეურნეო ფუნქციები, იგი მხოლოდ ურიგებს თავის ასეულს ფულს და იმ ნივთებს, რომელსაც ღებულობს ერთეულის სამეურნეო ნაწილიდან. ის ქონება, რომელიც არა აქვთ დარიგებული, ინახება ასეულის საწყობში. ამასთან ასეულის უფროსი, როგორც იურიდიულად, აგრეთვე ზნეობრივადაც პასუხის მგებელია თავის ასეულის ყოველგვარ მდგომარეობის შესახებ (სამეურნეო დარგისაც).

ახლა ჩვენ განვიხილოთ შესაძლებელია, რომ ასეულის უფროსს ჩამოშორდეს რაიმე ფუნქციები ზემოხსენებულ სამგვარ კმაყოფის შესახებ, თუ არა?

ავიღოთ სასურსათო მომარაგება. ომიანობის დროს სასურსათო მომარაგება ასეულისა, თუ რომ იგი არაა დაშორებული ერთეულის სხვა შემადგენელ ნაწილებიდან, არის სამეურნეო ნაწილის ხელში, მაშასადამე მშვიდობიან დროსაც არავითარი საჭიროება არ მოითხოვს გადაუხვიოთ ამას. თუ რომ მოვიგონებთ ყველა იმ მუშაობას, რომელიცაა დაკავშირებული სურსათ-სანოვაგის მიღებასთან, საჭმლის ხარშვასთან და ამის შესახებ ანგარიშების წარმოებასთან, ჩვენ დავინახავთ, რომ სურსათით მომარაგების საკითხის ერთეულის სამეურნეო ნაწილზე დაკისრებით, უფრო გაადვილდება საქმე, მუშაობაც ნაკლები იქნება და დროც ცოტა მოუნდება ყველა ამის ასასრულებლათ, რასაკვირველია ზოგიერთი ცვლილებების შეტანით ერთეულის სამეურნეო ნაწილის შტატში, ვინაიდან სამეურნეო ნაწილს მუშაობა მოემატება და დააკლდება ასეულს.

სურსათით მომარაგების საკითხის ერთეულში გადაცემით ასეულის უფროსს ძალიან უმცირდება და უადვილდება მუშაობა, რადგანაც იგი აღარ ზრუნავს საჭმლის გამზადებაზე და ანგარიშების წარმოებაზე, რაიც მას ართმევდა აქობამდის დიდ დროს.

ნ. შანშიაშვილი.

(გაგრძელება იქნება).

## მოაწყვეთ სამხედრო კუთხეები.

მე 2 არტლეგ. 1-ლი დივიზიონი.

მოსახლეობის გასამხედროების საკითხს დივიზიონი დიდი ყურადღებით ეკიდება. სულ მოწყობილი გვაქვს ჯერ-ჯერობით 3 სამხედრო კუთხე, სადაც სისტემატიურად მიმდინარეობს მუშაობა. ერთი მოწყობილია თვით ნაწილში, სადაც მომაგრებულია ადგილობრივი ცვალებადელები და კომკავშირი. მეორე კუთხე კი მოწყობილი გვაქვს რკინის გზის კლუბში. მუშაობა იქაც წარმატებით მიმდინარეობს.

უკანასკნელი კუთხე კი ქუთაისის სამრეწველო ტეხნიკუმში გვაქვს მოწყობილი. ამ კუთხეზე მიმაგრებულია ნაწილის ერთი ოცეულის თავი. მეცადინეობა ტარდება კვირაში სამჯერ. მიმაგრებული ამხანაგები ენერგიულად ეკიდებიან მუშაობას. განსაკუთრებით დიდ ინტერესს იწვევს ჩვენი მუშაობა მოწაფეობაში.

საჭიროა სხვა ნაწილების მეთაურებმაც მიბაძონ ჩვენს მეთაურებს და შეუდგენ ამ უდიდესი საქმის წარმატებით დაგვირგვინებას.

სამხკორი ვ. ერამაშვილი.

## 1-ლი სროლითი ვარჯიში.

1-ლ ლეგიონი მე-2-რე ათასეული.

21 მარტისათვის ლეგიონი აწყობს სხვა და სხვა შეჯიბრებს. ამ დღისათვის მე-2-რე ათასეული აწარმოებს ლეგიონის სამხედრო სკოლასთან შეჯიბრს სროლაში. ამ მიზნით ათასეულმა შეადგინა მსროლელთა ჯგუფი რამოდენიმე კაცისაგან. ჯგუფმა 1-ლ სროლით ვარჯიში აწარმოა 12 მარტს 200 ფეხის ნაბიჯის მანძილზე.

ჯგუფმა 1-ლი ვარჯიში კარგად ჩაატარა; თითეულმა მსროლელმა და საერთოდ ჯგუფმა დიდი სიყოჩაღე გამოიჩინეს.

მომავალი შეჯიბრისთვის ყველა დიდი ინტერესით ემზადებიან. არის იმედები რომ შეჯიბრი წარმატებით ჩატარდება.

სამხკორი ბ. ხვინგია.

# ჩვენი წითელი ჯარის ცხოვრება და მუშაობა.

## სამზადისი ქართ. წითელი არმიის 5 წლის თავისათვის.

### როგორ ვხვდებით დღესასწაულს.

1-ლი არტლეგიონის მე-2 ბატარეის ლენინის კუთხეში გაცხოველებული საუბარია მომავალი დღესასწაულის მნიშვნელობის შესახებ. ვაცნობთ წითელ არმიელებს ქართული წითელი ჯარის ისტორიას. ნაწილის მეთაურები აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ ამ მუშაობაში. ნაწილს ვრთავთ სადღესასწაულო პლაკატებით, ლოზუნგებით და სხვა.

საერთოდ მთელი ნაწილის შემადგენლობა დიდი აღფრთოვანებით ეგებება დღესასწაულს.

სამხკორი ხონელი.

### 1-ლი მესანგრეთა ასეული.

ჩვენი ასეული შეუდგა სადღესასწაულო სამზადისს. ასეულის ყველა წრეები ამოძრავდენ და გაცხოველდა მეცადინეობა.

ნაწილის რედკოლეგია ემზადება სადღესასწაულო ნომრის გამოშვებისათვის. დრამატიული წრე ამზადებს სადღესო მნიშვნელობის პიესას. სამხკორთა წრემ გაგზავნა თავის წარმომადგენლები ცენტრში, ჩვენი სამხკორთა წრის მუშაობის ანგარიშებით და მომავალი მუშაობის გეგმის მასალებად. სადღესასწაულო დღისთვის განზრახული გვაქვს მოვაწყოთ წრეების შეჯიბრი. ამისთვის სწარმოებს წინასწარი მუშაობა, რომელსაც ხელმძღვანელობს ნაწილის უფ-პოლიტ-შემადგენლობა.

ფხიზლად, მტკიცე ნებისყოფით და სათანადოთ მომზადებული ვხვდებით ქართული წითელი ლაშქრის ხუთი წლის თავს ამ იმედით, რომ მეორე ხუთი წლის თავზე უფრო დავაშკაცებული და გამარჯვებული მივიტანთ მშრომელთა განთავისუფლების წითელ დროშას.

სამხკორი „ბინოკლი".

### მოკლე ვადიანი ტერ-შეკრება ქ. ჭიათურაში.

მე-4 ლეგიონის 5-ე ასეული.

პარასკევი დილაა. ასეულის ეზოში თანდათან იყრიან თავს ცვალებადი წითელ არმიელები. გაისმის ყრიამული. სიმღერა, თამაში, ცეკვა, იშვიათი განწყობილებაა ამხანაგებში.

მოულოდნელმა ბრძანებამ ჩამოაგდო სიჩუმე. ყველანი თავ-



თავიანთ ოცეულებში მოეწყვენ. გამოჩდა ათასეულის მეთაური ამხ. გაბუნია და მიესალმა მათ, რის შემდეგ ყველანი თავ-თავიანთ ოცეულებში შეუდგენ მეცადინეობას. ცვალებადელები დიდი ინტერესით ეკიდებიან თავის უფროსების განკარგულებებს.

თავისუფალ დროს ვატარებთ მათთან ჯგუფურ საუბრებს. ათვალიერებენ და ეცნობიან ჩვენს ლენინის კუთხეს, კითხულობენ გაზეთებს და წიგნებს. საზოგადოთ ძლიერ დაინტერესებული არიან ჩვენი ყაზარმული ცხოვრებით.

ჩვენი კადრის წითელ არმიელები დიდის ყურადღებით ექცევიან და უხსნიან მათ ჩვენ მდგომარეობას. მეთაურებიც მთელ დროს ცვალებადელებთან ატარებენ და ესაუბრებიან სხვა და სხვა საკითხებზედ.

ორი დღის გაკვეთილმა დაგვანახვა, რომ მომავალი ჩვენი მოკლე ვადიანი შეკრება უფრო შემჭიდროვებულათ და შემტკიცებული რიგებით ჩატარდება.

ორი დღის შეკრებამ სავსებით გაამართლა ტერსისტემის მოქნილობა და უპირატესობა.

სამხკორი ა. ხიტირია.

**ქართულ წითელ არმიის აღმშენებლობის 5 წლის თავი ახლოვდება. დააჩქარეთ მასალების გამოგზავნა რედაქციაში.**

### სამაგალითო მეთაური.

ამხ. კილაძე გურიის გლეხის შვილია. დღიდან საქართველოს გასაბჭოებისა ის იმყოფება წი-



ამხ. კილაძე.

თელ ჯარის რიგებში, 1922 წელში იქნა გაგზავნილი დუშეთის მაზრაში ბანდიტების წინააღმდეგ.

ამ უკანასკნელიების წინააღმდეგ ბრძოლებში მამაცობის გამოჩენისთვის ამხ. კილაძე იქნა დაჯილდოებული „წითელი დროშის ორდენით". შემდეგი ბრძოლებში მონაწილეობისათვის ამხ. კილაძე დაჯილდოებული იქნა ოქროს ხმლით! ზედ წარწერით „საქართველოს წითელ მხედარს!" 1924 წელს აგვისტოს თვეში გამოსვლებისას ის იმყოფებოდა მოკლე ვადიან შვებულებაში გურიის ერთ რაიონში, სადაც მას უხდება შეგნებულ წითელ მეთაურის ვალის მიხდა მშრომელ ხალხის ძალა-უფლების დასაცავად. ამ ხანებში მას ვხედავთ ჩვენი ადგილობრივ კომუნარების ხელმძღვანელად მენშევიკურ ბანდიტების წინააღმდეგ.

მრავალი მადლობა აქვს ამხ. კილაძეს დამსახურებული წითელი ჯარის რიგებში და მის რიგებში იგი ითვლება საუკეთესო მუშაკათ.

ქართული წ. არმიის 5 წლის თავის ჩამტარებელი კომისიის წევრი დ. მელაძე.

### კონკურსი საუკეთესო ბიბლიოთეკარზე.

ამხ. ერემაშვილი წითელარმიელების ბიბლიოთეკაში მისაზიდავად მიმართავს შემდეგ ხერხს: წინასწარ ეცნობა წიგნს და შემდეგ აწარმოებს ხმამა-



მე-2 არტლეგ. 1 ლ საგაუბიცო ბატარეის ბიბლიოთეკარი ამხ. ვ რლამ ერემაშვილი.

ღალ კითხვას წითელარმიელებში, რითაც დიდ ინტერესს იწვევს მათში და აინტერესებს წიგნებით. კვირაში 3-ჯერ ატარებს ხმამაღალ კითხვას წიგნებიდან და გაზეთებიდან. რადგან ნაწილში ცოტაა ხალხი, ამიტომ მკითხველთა აქტივი შესდგება სამი წითელარმიელისაგან. ატარებს თავის ბიბლიოთეკაში წიგნის დამტარებლობითი მეთოდს. აქტიურ მონაწილეობას ღებულობს აგრეთვე ნაწილის დრამატიული წრის მუშაობაში, სამხკორთა და სამხედრო წრეებში. 6 თვის განმავლობაში წაკითხული აქვს სულ 35-მდე წიგნი—საზოგადოებრივ, სამხედრო და საბუნებისმეტყველო დარგებიდან. ყოველდღიურად კითხულობს გაზეთებს და სხვა.

მთელი თავისი მუშაობის განმავლობაში არა აქვს დაკარგული არც ერთი წიგნი. ისეთი წიგნების შესაძენათ, რომელზედაც დიდი მოთხოვნილებაა წითელარმიელებიდან უმეტეს შემთხვევაში მიმართავს ლეგბიბგამგეს.

სისტემატიურად უხსნის და აგონებს წითელარმიელებს თუ რა მნიშვნელობა აქვს წიგნს, როგორ უნდა მოუაროთ მას, ითვლება თუ არა ის სახაზინო ქონებათ და სხვა. ბატარეის წერა-კითხვის მცოდნე წითელარმიელები ყველანი მიზიდული ყავს ბიბლიოთეკაში. გარეგნულად ბატარეის ბიბლიოთეკა დამაკმაყოფილებელია.

მე-2 არტლეგ. ბიბგამგე ალ. კვახაძე.

### ხელს გვიშლიან.

მე-4-ე ლეგიონის მე-2-რე ათასეული.

ტერ-სისტემა თანდათან ძლიერდება და ფესვებს იდგამს მასებში, რაც დაგვანახვა მოკლე ვადიან შეკრებებმა; სამწუხაროდ ზოგიერთ პასუხისმგებელ ამხანაგებს ვერ გაუგიათ მისი მნიშვნელობა და ალბათ ისიც არ იციან, რომ ცვალებადელი ისეთივე წითელი არმიელია, როგორც კადრის წითელი არმიელი.

მათი უცოდინარობა კი გამოიხატება შემდეგში: ჩვენს ათასეულში ადგილი ქონდა რამდენიმე შემთხვევას, როდესაც რომელიმე დაწესებულება გვწერდა: „გთხოვთ გაანთავისუფლოთ ესა და ეს ამხანაგი, ვინაიდან ბევრი საქმეები აქვს; ან კიდევ გვწერენ; რომ—ესა და ეს ამხანაგი ვერ გამოცხადდა შეკრებაზე რადგან საქმე ჰქონდა.

საჭიროა პასუხისმგებელ ამხანაგებმა და სხვა და სხვა დაწესებულებებმა შეიგნონ რომ ცვალებადელი იგივე წითელ არმიელია და მისი დაკავება საქმისათვის ბოროტმოქმედებას უდრის.

სამხკორი ნ. ლიახვისპირელი.

# ჩვენი პარტიის და კომკავშირის ცხოვრება

## მე-5 ლეგ. შტაბის კომუჯრედის გაერთიანებული კრება.

13 მარტს შესდგა ლეგიონის შტაბის, 1-ლი ათასეულის და ტყვიამფრქვევ ასეულის კომუჯრედების გაერთიანებული კრება. გაკეთებული იქნა მოხსენება სამხედრო და პარტდისციპლინაზე, ტერწმუნებულების მუშაობაზე სოფლად და სხვა.

დისციპლინის შესახებ მომხსენებელმა ფართეთ გააშუქა საკითხი, აღნიშნა ზოგიერთი არა ნორმალური მოვლენები ამ მხრივ და მოუწოდა ამხანაგებს გამოიჩინონ სიმტკიცე ამ საქმეში. მოხსენება მიღებული იქნა სახელმძღვანელოდ.

შემდეგ მოხსენებებით გამოვიდენ ტერ რწმუნებულები თავისი მუშაობის შესახებ. ამხანაგების სიტყვებიდან გამოაშკარავდა, რომ მიმდინარე მოკლევადიანი შეკრების დროს ცვალებადელები უკლებლივ ცხადდებოდენ ნაწილებში და საერთოდ შეკრებები წარმატებით მიმდინარეობს.

მიმდინარე საკითხებში წამოიჭრა სამხედრო კუთხეების მოწყობის აუცილებლობის საკითხი სხვა და სხვა დაწესებულებებში და სხვა.

სამხკორი ალგიჯო.

## მოხსენება თვითმპყრობელობის დამხობის 9 წლის თავის შესახებ.

15 მარტს ცალკე ცხენოსან ესკადრონში მოწვეული იქნა კომუჯრედის გაერთიანებული კრება, რომელზედაც გაკეთებული იქნა მოხსენება თვითმპყრობელობის დამხობიდან ცხრა წლის თავის შესახებ. მომხსენებელი დაწვრილებით შეეხო ძველი რეჟიმისა და მისი დამხობის შემდეგ შექმნილ მდგომარეობას, რომელიც სარჩულად დაედვა ოქტომბრის რევოლიუციაი. შეეხო გამცემელ სოციალისტური პარტიების მოქმედებას და მრავალი სხვა.

მეორე საკითხზე ინფორმაციული ხასიათის მოხსენება გააკეთა ამხ. ოტიაშვილმა სოფლებზე შეფობის შესახებ. მან აღნიშნა საშეფო სოფლის ცხოვრების პირობები და სურვილი გამოსთქვა ამ მუშაობის უფრო გაფართოების შესახებ.

კრებამ საერთოდ მოიწონა საშეფო კომისიის მუშაობა და მისცა მას რამოდენიმე პარტიული ხასიათის მითითებანი.

სამხკორი დაგო.

## როგორ მუშაობას ვაწარმოებთ ცვალებადელებთან.

მე-6 ლეგ. მე-3 ათასეული.

ცვალებადელების აღწერის შემდეგ დიდი გამოცოცხლება დაეტყო პარტ და უპარტიო შემადგენლობაში მუშაობს. ამის მიზეზია ის გარემოება, რომ ათასეულის ფარგლებში მრავალ პარტიულ ამხანაგებმა მოიყარეს თავი. თუ წინად პარტიულების რიცხვი 25 კაცამდე აღწევდა, ამჟამად ახკომკავშირელებთან ერთად ათასეულის მთელი შემადგენლობის 60 პროცენტს უდრის. 12 მარტს ათასეულის პარტიულების გაერთიანებულ კრებაზე გარჩეული იქნა სხვა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები და მათ შორის ამხკორების გამოყოფის შესახებ. უმრავლესობამ განაცხადა სამხკორობაზე სურვილი და შეგვპირდენ, რომ სისტემატიურად მოგვაწვდიან წერილებს სოფლებიდან. ამხანაგებს დაევალათ აგრეთვე ფართოდ გაავრცელონ გლეხობაში ჩვენი გაზეთი „წითელი არმიელი“.

სამხკორი. დ. ჭანკვეტაძე.

## სპორტიული შეჯიბრი პირველ ლეგიონში.

18 მარტს ლეგიონში მოეწყო სპორტიული შეჯიბრი ლეგსკოლასა და ათასეულებ შორის. მეთაურები დიდი ამბით ემზადებოდენ ამ დღისათვის. გაცხოველებული მუშაობა სწარმოებდა ლეგ. ყველა ნაწილებში.

გათენდა 18 მარტიც. ადგომის ნიშანმა გაამხიარულა ლეგიონი. მოვარჯიშე წითელ არმიელები მოუთმენლად მოელოდენ დანიშნულ დროს, რომ დაემტკიცებიათ თავისი მომზადება და ესახელებიათ ხელმძღვანელები.

მეორე ათასეულის სავარჯიშო პლაცზე ჩამწკრივებული იყო სკამები სტუმრებისათვის. შეჯიბრმა აუარება კერძო მოქალაქენი მიიზიდა. შესრულდა 9 საათი. ლეგიონის ორკესტრმა დაიკავა თავისი ადგილი და თავისი ხმით გამოაცოცხლა ხალხი. კიდევ რამოდენიმე წუთი და გამოჩდენ ჩვენი მოვარჯიშე წითელ არმიელები და მეთაურები. ხალხი მხურვალე ტაშით შეეგება მათ.

ყველა მოვარჯიშეებმა ორკესტრზე შეასრულეს თავიანთი ილეთები.

შეჯიბრი სწარმოებდა როგორც თოფით, ისე ტანვარჯიშობაში, სიგრძე სიმაღლეზე ხტომა და სამოსწავლო ბომბების სროლაში. ვარჯიში არა ჩვეულებრივად ჩატარდა. პირველობა გამოიჩინა მე-2 ათასეულის 4 ასეულმა.

ვაშა მის ხელმძღვანელებს!

სამხკორი ივ. ბარელაძე.

# მოწერილი წერილებიდან

## დროს ტყვილა არ ვკარგავთ.

მე-5 ლეგიონის უმცროს მეთაურთა სკოლაში წარმატებით მიმდინარეობს კურსანტებთან მეცადინეობა. მეთაურები დიდი გულმოდგინეობით ეკიდებიან კურსანტების აღზრდის საქმეს. სკოლაში ჩამოყალიბებულია სხვა და სხვა ბირთვები, რომლებსაც ისევ მეთაურები ხელმძღვანელობენ.

ასეთი აღმზრდელობის მეოხებით ჩქარა მივაღწევთ მიზანს.

სამხკორი ჟვანია.

## ამაყობას ადგილი არ უნდა ექნეს.

არტლეგიონის მეთაურთა სკოლის კურსანტები დაყოფილი არიან ცოდნის მიხედვით რამოდენიმე ჯგუფებად. პირველ ჯგუფში შედიან უფრო კარგად მომზადებული ამხანაგები, რომლებიც სამწუხაროდ ამაყად იჭერენ თავს სხვა კურსანტების წინაშე. ასეთი დაყოფა და ზევიდან ქვევით ცქერა მიუღებელია წითელი ყაზარმისათვის. ამხანაგებმა დროა გამოასწორონ თავიანთი საქციელი.

ამას გარდა ზოგიერთი კომკავშირელები გაურბიან კუთხეებში საუბრების ჩატარებას. საჭიროა ორგანიზატორმა მიაქციოს ამას შესაფერი ყურადღება.

სამხკორი ჭინჭარი.

## დავაარსეთ დრამატიული წრე.

მე-2 ცალკე მესანგრეთა ასეულში სულ რამოდენიმე კვირაა რაც დაარსდა დრამატიული წრე. წრემ პირველი წარმოდგენა დასდგა 14 მარტს, რომელიც დამაკმაყოფილებლად იქნა ჩატარებული. წარმოდგენას წითელ არმიელების გარდა გარეშე საზოგადოებაც დაესწრო.

იმედია დრამატიული წრე გაამართლებს მომავალში მასზე დამყარებულ იმედებს.

სამხკორი ა. ტყისშვილი.

## ყველა დავალებებს პირნათლად ასრულებენ.

1-ლი ლეგიონის უმცროს მეთაურთა სკოლაში გაცხოველებული მეცადინეობაა. კურსანტები გრძნობენ პასუხისმგებლობას და გულმოდგინეთ ემზადებიან მომავალი მეთაურობისათვის. როგორც სამხედრო ისე კულტურულ პოლიტიკურ საქმიანობაში დიდ ენერგიულობას იჩენენ. უსიტყვოთ ასრულებენ უფროსების ყოველგვარ განკარგულებებს.

სამხკორი ძნელაძე.

# მოსპეთ ნაკლულევანებანი

ერთ თვეზე მეტია, რაც 1-ლ არტლეგიონში აღარ გვაქვს საათი. ყოველი განწესების დროს მორიგე მეთაურებს უხდებათ დროს გასაგებად რბენა, რაც აგვიანებს განწესებას და მოვალეობის შესრულების საქმეს. დროა გააკეთებიონ დაუქმებული საათი და გამოგვიყვანონ ასეთი მდგომარეობიდან.

სამხკორი მეხი.

მე 2 ლეგიონში ანტისანიტარულ მდგომარეობას აქვს ადგილი. დილით გვიან ადუღებენ ჩაის, რის დალევამაც ვეღარ ვასწრობთ. გვიხდება აუდუღარი წყლის სმა, რაც ხშირად იწვევს სხვა და სხვა ავადმყოფობას. წითელ არმიელების ქვაბუნები და თასები გამოცვდენ და მათი ხელახალი მოკალვისათვის კი არავინ ღებულობს ზომებს. არც ლეგიონის ფეხის-ადგილებია სუფთად. იშვიათად იწმინდება. მოაგვარეთ ეს საქმეები.

სამხკორი არტ. ოგ.

ერთი თვე იქნება რაც 1-ლ ლეგიონში ჩაბნელებულია ზარულები ღამ-ღამობით. არ არის განათება. ღამით ხშირად იმტვრევიან წითელ არმიელები. შეუძლებელია ასეთი უყურადღებობა. მოგვეცით განათება.

წ. არმ. ცისპირელი.

# მეცნიერება და ტეხნიკა

## რა შენიშნეს მზეზე.

ლენინგრადის ობსერვატორიამ ამ უკანასკნელ ხანებში შეამჩნია მზეზე არა ჩვეულებრი—ქაოტიური მოძრაობა ე. წ. მზის შავი ლაქების.

უდიდესი პროცესები, რომლებიც ჯერ კიდევ დაიწყო მზეზე გასული წლის ბოლო რიცხვებში, ხელს უწყობენ მზეზე მთელ რიგ შავი ლაქების გაჩენას, რომლებიც ადვილად შეიძლება დანახული იქნეს უბრალო—შეუიარაღებელი თვალითაც კი.

მზის შავი ლაქების ერთი ასეთი ჯგუფი უდიდესია ამ 50 წლის განმავლობაში მზის ზედაპირზე შემჩნეულ ლაქებს შორის. ის დაახლოვებით რამოდენიმე ათეულჯერ მეტია თავისი მოცულობით ვინემ ჩვენი დედა მიწა.

აღნიშნული შავი ლაქების მზის ცენტრალურ ნაწილში გავლამ გამოიწვია დედამიწაზე ძლიერ ანდამატური ბურუსი-და ჩრდილოეთის ბრწყინვალების გაჩენა რომელიც გერმანიიდანაც კარგად სჩანს ამ უკანასკნელ დღეებში.

# პასუხი შეკითხვებზე.

**პაპუაშვილს.** თუ მუდმივ სამსახურის ადგილიდან დაშორებით სხვა წერტზე იყავით მივლინებული წვევამდელებთან სამეცადინეოთ, მაშინ გერგებათ საათების ფული.

**იმნაძეს.** თუ განუწყვეტლივ ორი წელიწადი არ [illegible]ხურიათ წითელ ჯარში, ისე არ გეთვლებათ ნამდვილ [illegible]ხურათ.

**ჯაგაევს.** არ გეთვლებათ ნამდვილ სამსახურათ.

**თათულაშვილს.** საპყრობილეში გატარებული დრო[illegible] ჩავეთვლებათ ნამდვილ სამსახურათ.

**კურსანტს.** არ შეგიძლიათ სამოქალაქო ტანსაცმელის ტარება.

**ჩხიკვაძეს.** თუ პირველ დეკემბრამდე ღებულობდით მაშინ გერგებათ.

**გუჯეშაშვილს.** შტატით დადებული ჯამაგირი გეკუთვნით, მეტი არაფერი.

**ობოლაძეს.** თქვენთვის ოქტომბრიდან მოხდა ჯამაგირის მომატება.

**ხიჯაკაძეს.** ტარებისთვის ვარგისიმაზარა გეკუთვნით.

**ნანეიშვილს.** არ დაგიბრუნდებათ. შეგიძლიათ ჩაეწეროთ წევრად „ბოეც“-ში.

**რუხაძეს.** მიმართეღ შტაბის უფროს და გაგაცნობთ ბრძანებას № 30—26 წ.

**მოურავიძეს.** გვაცნობეთ თქვენი ოჯახური მდგომარეობა, რომელ წელში ხართ დაბადებულნი თქვენ და თქვენი ძმა, ამის შემდეგ შევიძლია გიპასუხოთ.

**ალგიჯოს.** იქნება თავის დროზე ბრძანება.

**მახვე.** არა.

**კონსტანტინოვს.** შეგიძლიათ მხოლოდ სკოლის უფროსების თანხმობით.

**ჩხირს.** შეგიძლიათ. გამოცდები უნდა ჩააბაროთ. მიმართედ სამხკომს შუამდგომლობა აღძრას, რომ მიღებულ იქნეთ სკოლაში.

**მესხელს.** საჭირო ცნობების მისაღებად მიმართედ „ბოეც“-ის საბუღალტერიო კურსების ადმინისტრაციას, რომელიც მოთავსებულია ოლღის ქუჩაზე, ყოფ. ზემელის აფთიაქის პირდაპირ.

**მარტოხელს.** თქვენ არავითარი ოჯახური შეღავათებით არ სარგებლობთ. გაგიწვევენ.

**ნოზაძეს.** შეგიძლიათ.

**ბ—შვილს.** ამა წლის შემოდგომაზე წახვალთ უვადო შვებულებაში.

**მჭედელს.** უნდა იმსახუროთ სამი წელიწადი. (ბრძანება № 965—25 წ.)

**კურსანტებს.** კომუნალური ფული არ გერგებათ.

**გადამწერებს.** ვინაიდან თქვენ გაგითავებიათ საგადამწერო კურსები, ამიტომ უნდა იმსახუროთ სამი წელიწადი. (ბრძანება № 965—25 წ.)

**ა—ძეს.** თმა მოკლედ უნდა გქონდეთ შეკრეჭილი. (შინაგან სამხ. სამსახურის წესდება მუხ. 421.)

**მი—შვილს.** გაქვთ უფლება.

## ამხ. ამხ. წითელარმიელებო გამოიწერეთ, და გაავრცელეთ თქვენი გაზეთი „წითელი არმიელი“

## ჩვენი ფოსტა.

**მეფარიშვილს** თქვენი წერილი „ლეგიონის კედლის გაზეთის შესახებ“ არ დაიბეჭდება. ამ საკითხზე რედაქციამ კარგა ხანია შესწყვიტა კამათი, რადგან საკითხი გამორკვეულად სცნო.

**კელაპტარიშვილს** წერილი „რა ხდება გორის მაზრაში“ გადაეცა გაზ. „ახალ სოფლის“ რედაქციას.

**ვ. დოლიძეს, გავაშელიშვილს, ფირცხალავას, ქათამაშვილს ახალკაცს და მეხრიშვილს** თქვენი წერილები „მე-6 ლეგიონის 9 ასეული“, „მე-4 ლეგ. კლუბი“, „ამავე ლეგიონის მე-3 ათასეული“ „გურჯაანის წერტი“, „მე-6 ლეგ 8 ასეული“ და მე-4 ლეგ. 1-ლი ასეული“ არ დაიბეჭდება. ასეთები იყო ჩვენს გაზეთში.

**შ. ბასილიას** თქვენი წერილი „1-ლი წერტის წინასწარი მომზადება“ ძლიერ დაგვიანებულია, არ დაიბეჭდება.

## განცხადება.

ა/წ. 24 მარტიდან 1-ლ ქართ. მსრ. დივიზიის პარტკომისია, რომელიც აქამდე იმყოფებოდა ქ. თბილისში, გადადის ქ. ქუთაისში. ამა დივიზიაში შემავალ ნაწილების ბიუროკოლექტივებმა და კომუჯრედებმა გასარჩევი საქმეები აღნიშნულ რიცხვიდან უნდა გადმოგზავნონ ქ. ქუთაისში.

დივპარტკომისიის მდივანი ლომიძე.

ნ. დ. ს. ც. ამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. № 3. დრ. პასუხისმგებელი რედაქტორი ბ. ადამაძე.